# საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
# ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
# აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 27 დეკემბერი, 2017 წელი

## დადგენილება № 04-01/16

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 დეკემბრის №3/319 ბრძანებაში შესატანი ცვლილების პროექტის განხილვის თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და უნივერსიტეტის წესდების მე-9 და 71-ე მუხლების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1.მოწონებულ იქნას „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 დეკემბრის №3/319 ბრძანებაში შესატანი ცვლილების პროექტი, თანახმად დანართისა.

2. აღნიშნული ცვლილების პროექტი განსახილველად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**აკადემიური საბჭოს**
**თავმჯდომარე** **ე.მესხია**

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
**2017 წლის 27 დეკემბრის**
**№ 04-01/16 დადგენილების**
**დანართი**

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 დეკემბრის №3/319 ბრძანებაში შესატანი ცვლილების პროექტი**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 დეკემბრის №3/319 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

**1. წესდების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა) შეიმუშავებს უნივერსიტეტის წესდებას აკადემიური საბჭოს მონაწილეობით და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს;“.

**2.წესდების 66-ე მუხლის :**

**ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. უნივერსიტეტის უძრავი ქონების ან მისი ნაწილის შეძენა, გასხვისება ან იჯარით გაცემა შეიძლება მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“;

**ბ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹ პუნქტი:**

„3¹.უნივერსიტეტის მოძრავ ქონებასთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება, თუ იგი სცილდება საგანმანათლებლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფარგლებს, შეიძლება მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

**3. წესდების 68-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 68. უნივერსიტეტის სახელმწიფო კონტროლი**

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო არის საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო, რომელიც ახორციელებს უნივერსიტეტის საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის

ზედამხედველობას. სამინისტრო უფლებამოსილია, მოსთხოვოს უნივერსიტეტს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო ნებისმიერი მასალისა და ინფორმაციის წარმოდგენა.“.

**4. წესდების 71-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„1.უნივერსიტეტის წესდებას შეიმუშავებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს მონაწილეობით და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს.“.

სწორია: